პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აპრილი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი ჩიხისთვის ხელბურთელის იმედო ფხაკაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ ჩიხს მიენიჭოს ხელბურთელის იმედო ფხაკაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:475537 Y:4621461
X:478045 Y:4618775
X:475596 Y:4621417
III ჩიხი
IV ჩიხი
X:475620 Y:4621400
იმედო ფხაკაძის ქ.
X:475497 Y:4621368
X:475706 Y:4621338
II ჩიხი
X:475658 Y:4621315
X:475794 Y:4621274
I ჩიხი
X:475716 Y:4621234
იმედო ფხაკაძის ქ.
X:475904 Y:4621191
N
1:1,800

მისამართი:
ქ.თბილისი
უნივერსიტეტის.ქN15ა
office@geohandball.ge
www.geohandball.ge
საიდენტიფიკაციო კოდი: 204885124

საქართველოს
ხელბურთის
ეროვნული
ფედერაცია

Georgian
National
Handball
Federation

Address:Tbilisi
university street N15a
office@geohandball.ge
www.geohandball.ge
Identification Code 204885124

№ 344

20 სექტემბერი 2023 წ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს,

ბატონო გიორგი,

გასული საუკუნის მსოფლიო ხელბურთის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა გამოჩენილმა ქართველმა ხელბურთელმა იმედო ფხაკაძემ.

იმედო ფხაკაძის სპორტული კარიერა მრავალფეროვანი და გამორჩეულია: სსრკ ორგზის ჩემპიონი (1962, 1964), სამგზის მეორე (1965,1966, 1967) და მესამე (1963) პრიზიორი. თორმეტი წლის განმავლობაში იყო საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრი.

საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მწვრთნელი, „ოქროს გუნდის" წევრი, „ბურევესტნიკის" („ქარიშხალას") მთავარი მწვრთნელი და მრავალი წარმატებული ხელბურთელის აღმზრდელი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ქართული ხელბურთის ლეგენდა, იმედო ფხაკაძე, სიცოცხლის ბოლომდე იყო საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. სპორტისა და ხელბურთის გულშემატკივრებმა, მეგობრებმა და თბილისის საზოგადოებამ 2021 წელს უკანასკნელ გზაზე გააცილეს იგი.

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია მოგმართავთ თხოვნით, რათა სპორტისა და კერძოდ ხელბურთის განვითარებაში მისი დამსახურებისა და ღვაწლის დასაფასებლად, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს იმედო ფხაკაძის სახელი.

ღრმა პატივისცემით,

პრეზიდენტი ვახტანგ მეიფარიანი

(1)

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

27 / **თებერვალი** / 2024 **წ.**

KA011756652795124

№ **44788**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს
მის.: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2024 წლის 23 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M24003366 განცხადებით მომართა მოქალაქე ზვიად ჩიხლაძემ (პ/ნ:01024003436), რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობა შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, სოფელი თხინვალა (საკადასტრო კოდით N 72.16.23.416).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N 72.16.23.416) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

(დანართი: 1 გვერდი)

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი ტაბატაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

თავმჯდომარეს ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მოქ: [illegible]

მცხ: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის 38

ტელ: 592 28 67 67

პ.ნ: 01024003436

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ვცხოვრობ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. ჭავჭავაძის 38-ის მიმდებარედ ჩემს სახლს არა აქვს მისამართი მინიჭებული რაც გვიქმნის სხვადასხვა სახის პრობლემებს, გთხოვთ მიანიჭოთ ჩვენს სახლს და მოგვანიჭოთ მისამართი ჩემი სახლის საკადასტრო კოდი: 72.16.23.416

მოქ. [illegible]

02. აპრილი. 2024 წ

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.72.58.031.041

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882024228192 - 23/02/2024 12:41:36

მომზადების თარიღი
29/02/2024 18:00:19

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი			
01	**72**	**58**	**031/041**

მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი თხინვალა

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 600.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი: 72.16.23.416;

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საცხოვრებელის საერთო ფართით 398.4 კვ.მ.(საცხოვრებელი-214.9 კვ.მ., საზაფხულო ფართი - 115.1 კვ.მ. , სარდაფის ფართი - 40.6 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართი - 25.4 კვ.მ., დამსმარე -2.4 კვ.მ.)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882014060493 , თარიღი 06/02/2014 18:25:04
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/02/2014

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:06/02/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ბრძანება N-19/0123328557-17 , დამოწმების თარიღი:21/02/2024 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია
- ბრძანება N1838585 NAR1292052 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის არქიტექტურის სამსახური
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:31/01/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
ზვიად ჩიხლაძე,P/N: 01024003436

მესაკუთრე:
ზვიად ჩიხლაძე

აღწერა:

იპოთეკა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

უსახელო ქუჩა

N

მომზადების თარიღი 27.02.2024



მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ქუჩა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032502176**
თარიღი: **21/01/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის 2024 წლის 28 თებერვლის საქმე #04-03240592-03 დაკავშირებით, რომლითაც ზვიად ჩიხლაძის N M24003366 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია თხინვალას დასახლებაში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება (ს.კ.72.16.23.416).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზემოხსენებულ საკადასტრო ერთეულთან გამავალი უსახელო ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01250223147**
თარიღი: **22/01/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 21.01.2025 წლის #03-032502176 (21.01.2025 წ. #14-01250213156-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

იმედო ფხაკაძე

(1942-2021)

ქართველი ხელბურთელი

თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკსა“ (1962–1974) და სსრკ ნაკრებში (1963–1971). მსოფლიოს სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი 1968 წელს, სსრკ-ის ორგზის ჩემპიონი, სამგზის მეორე და მესამე პრიზიორი. სსრკ-ის ნაკრებში ჩაატარა 68 მატჩი, გაიტანა 193 გოლი.

იმედო ფხაკაძე იყო თბილისის „ბუერვესტნიკის“ მთავარი მწვრთნელი 1974-1978 წლებში. მისი ხელმძღვანელობით „ბურევესტნიკი“ სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადასა და სსრკ-ის ჩემპიონატში მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. მცირე ხნით ავარჯიშებდა იორდანიის ნაკრებს. არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.